გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## რუსეთის სავაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მომგებიანი ბილეთები I, II, და III** სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7, ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—5) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

## საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

საგენტო იმყოფება ველიამინის ქუჩაზედ, № 7. ღიაა 9—2 საათამდე.

(50—3) აგენტი დ. ქ. თუთაევი


## რედაქციისაგან

შეიძლება დაკვეთა გაზეთისა 1 აპრილიდამ წლის დამლევამდე, ფასი 8 მან. მსურველთ შეუძლიანთ ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.


მეორე წარმოდგენა ეფ. მესხისა და კოტე მესხის

მონაწილეობით

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 მარტს,

მ. მ. საფაროვის გამგეობით ქართული თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა

**ლანგ-თემურ**

ანუ

**სამშობლოს სადიდებლად**

ტრაგედია 4 მოქმედ. კ. მესხისა

(სიუჟეტი გადმოღებულია)

ლანგ-თემურის როლს აასრულებს **კ. მესხი**

საზერძნეთის დედოფლის ანნას როლს **ეფ. მესხი**

ამ პიესაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 50 კაცისა

პიესისათვის შეკვეთილია ახალი ძვირფასი ტანთსაცმელი

დასასრულ

მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქმედ. გადმოკ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

რეჟისორი კ. აბაშიძე

ადგილების ფასი საოპერეტო

**დასაწყისი სწორედ 8 საათზედ**

ბილეთები ისყიდება ამ თავითვე კასაში, ყოველ დღე, დილის 10 საათიდამ.

გამგეობა მ. მ. საფაროვისა

ანონსი: მზადდება შემდეგი პიესები: დალილა, ორი ობოლი, ოტელო და სხვ.


ტფილისი, 8 მარტი

ამას წინედ ჩვენი წერილი გავათავეთ დაპირებით, რომ შემდეგში გავუზიარებთ მკითხველს იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს უსიამოვნო და საზარალო განხეთქილება ცალკე საბჭოს ხმოსანთა, ცალკე გამგეობის წევრთა და ცალკეც საბჭოსა და გამგეობას შორის. ჩვენა ვსთქვით და დღესაც ვიმეორებთ, რომ ტფილისის თვითმმართველობამ იმავ თავიდგან საქებურად იჩინა თავი მთელის რუსეთის იმპერიის ქალაქებში, რომ საბჭო, როგორც კანონმდებელი ორგანო, და გამგეობა, როგორც აღმასრულებელი, ემსახურებოდნენ ერთსა და იმავე საქმეს და ეს საქმეც მარჯვედ მიდიოდა 1891 წლამდე, ხოლო ამ წლიდგან ჩვენს თვით მმართველობაში ჩამოვარდა საშინელი უთანხმოება, რომელიც დღეს უკანასკნელ სიმწვავემდეა მისული.

ისეთი რა წელიწადი იყო 1891 წელი ან ისეთი რა მოჰხდა ამ წელს, რომ სწორე გზაზედ დამდგარმა თვით-მმართველობამ აღარ მოინდომა წინსვლა კვლავინდებური და გადუხვია დაბურვილ ტყისაკენ, სადაც ჯერ ბილიკიც არავის გაუტარებია, მაშასადამე, სადაც სიარული უფრო ხეტიალს ემგზავსება და ამის გამო საშიშ ყოფაშია ჩაყენებული არა მარტო თვით საბჭო, არამედ კეთილდღეობა მთელის ჩვენის ქალაქისა.

გარეგანის შეხედულობით საბჭოს არცა რა მოაკლდა-რა, არცა რა მოემატა რა ამ წელს. ხმოსანთა უკანასკნელი არჩევანები გათავდა 1890 წელს. ოციოდე ძველი ხმოსანი გამოეთხოვა საბჭოს, მათი ადგილი დაიჭირა ოციოდე ახალმა ხმოსანმა. გარეგნობით საბჭოს ამ ცვლილებით არაფერი არ უზარალნია. რაიცა შეეხება შინაგანს ღირსებას, ამ მხრივ არა თუ არა დაჰკლებია-რა, პირიქით, როგორც ამას წინედაც ვსთქვით საკმაოდ გარკვევით და კვლავაც გვექმნება შემთხვევა კიდევ აღვნიშნოთ, — პირიქით, მას შეემატა ახალი და მანამდე უცნობი ძალა, რომელმაც პირველშივე გამოიჩინა ერთობ საქებური ხალისი სამსახურისა ქალაქის კეთილდღეობისათვის და თვით მიძინებულ მოქალაქეთა შორისაც-კი აღძრა სურვილი თვალ-ყურის ჭერისა შესახებ იმისა, თუ როგორ მიჰყავთ ქალაქის საქმეები მათ მიერ ამორჩეულ ხმოსნებს. მაშასადამე, თუ მომხდარა რამ ცვლილებაო — მეტყვის მკითხველი — საკეთილოდ მომხდარა და ყოველს მომხრეს ჩვენის თვით-მმართველობისას მხოლოდ სასიხარულოდ უნდა დარჩენოდა მაგეთი ცვლილებაო.

დიაღაც — რომ ასე უნდა ყოფილიყო, თვით საქმის უტყუარი ვითარებაც ამას მოითხოვდა, რადგან თვით კეთილდღეობა ქალაქისა მით უფრო წინ არის, რაც უკეთესი მზრუნველი და პატრონი აღმოუჩნდება ამ კეთილდღეობას. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ეგ საკეთილოდ მომხდარი ცვლილება შეიქმნა მიზეზად იმ დაუსრულებელის უთანხმოებისა, რომლის არსებობაც მერმისში მოუმზადებს ჩვენს მოქალაქეს არა მშვიდობიან ცხოვრებას, არამედ იმისთანა მოუსვენარობასა და შფოთს, რისგანაც არც ერთი შორს მჭვრეტელი კაცი არ უნდა ელოდებოდეს არაფერს, გარდა ნამდვილ უბედურობისა მთელის ქალაქისათვის.

აი როგორ იყო საქმე, რამდენადაც ჩვენ შევიგენით მისი ავ-კარგიანობა. უკანასკნელ არჩევანებამდე ქართველთა სატახტო ქალაქ ტფილისის საბჭოში ხმოსნებად იყვნენ ხოლმე ხან ოთხი, ხან ექვსი, ხან შვიდი კაცი. ამაზედ მეტი ხმოსანი ქართველებს არა ჰყოლიათ საბჭოში. დანარჩენ სამოცდა-ხუთზედ მომეტებულ ხმოსანში შიგ ჭრელად ერია თითო-ოროლა რუსი ან პოლშელი, სხვები-კი სულ წარმომადგენელნი იყვნენ სომხის ინტელიგენციისა. ამ გარემოების ახსნას ჩვენ ადრევე ვუძღვენით ცალკე წერილი და ეხლა აღარ გავიმეორებთ, რადგან ბევრს აუქმიეს და ჩიტირეკის ათასჯერაც რომ ჩასძახო სულ მარტივი აზრი, ვერას შეასმენ. ვიტყვით მხოლოდ, რომ უკანასკნელ ხუთ-ექვს წელს ქართველობამ ნელ-ნელა შეაჩვია თვალი თვით-მმართველობას და თანდათანობით გაუჯდა მისი გემო ძვალსა და რბილში. ამასთან დაიძრა კიდეც სურვილი მონაწილეობის მიღებისა ქალაქის მოვლა-პატრონობაში. რიცხვმა ქართველ მოსახლ-კარეებისამ თვალსაჩინოდ იმატა ტფილისში, ვაჭრობამაც აიდგა ფეხი ჩვენთა თანამემამულეთა შორის.

## ფელეტონი

### მთვარის შუქი

(გიუ დე-მოპასანის ნაწერი)

იმას ეძახდნენ მოძღვარს მარინიანეს. ის გახლდათ ერთი ახმახი, ჩამომხმარი ფანატიკოსი, მუდამ ატაცებულის, მაგრამ ალალის გულის პატრონი. ყველა იმის რწმენა მტკიცედ იყო განსაზღვრული. მან არ იცოდა, რა იყო აზრის მიხვეულ-მოხვეული ბორძიკი. მარინიანეს გულწრფელად სწამდა, რომ ვიციო ჩემი მეუფე და შემიძლიან მივწვდეო ყოველს იმის ხვაშიადს, იმის ყოველს განგებულებას.

როცა ის დიდის ნაბიჯით დასეირნობდა ხოლმე თავის პაწია ბაღის ხეივანში — უნდა მოგახსენოთ, რომ მოძღვრის სახლს ახლდა ბაღი — უცებ გაივლებდა ხანდახან გუნებაში აზრს, ნეტა ესა და ეს ნივთი ღმერთმა რად გააჩინაო? მერე შეუდგებოდა გულდასმით პასუხის ძიებას და თითქმის ყოველთვის მოსძებნიდა კიდეც. მარინიანე დიალაც არა ჰგავდა იმ ხასიათის კაცს, რომელიც ღაღადებს ღვთისნიერულის მოწიწებით: „მიუწვდომელ არიან, უფალო, საქმენნი შენნიო“. არა თუ ამას არ ამბობდა, პირ-იქით იმასაც-კი ფიქრობდა, რომ ღვთის მსახური ვარო და ამიტომ დიაღ უნდა ვიცოდე იმის განზრახვანი, ან გამოცნობას მაინც უნდა ვცდილობდეო. მარინიანეს ეგონა, რომ ბუნებაში ყველაფერი საოცარის მოსაზრებითაა შექმნილიო. იმის ყოველივე კითხვა-მიგება საუცხოოდ იყო ერთმანეთთან შეხამებულ-შეთანხმებული. დილის ცისკარი გაჩენილიაო იმისთვის, რომ უფრო გვიამოს გამოღვიძება; დღე, — რომ ამწიფოს ნათესი; წვიმა — ნათესის მოსარწყავად; საღამო, — რომ შევემზადოთ დაძინებას და ღამის სიბნელე — დასაძინებლად.

წლის ოთხი დრო საკვირველადაა შეფერებულიო, ფიქრობდა მარინიანე, მიწად მუშაკობის ყოველ საჭიროებასთან, და თავისს დღეში აზრადაც არ გაუვლია გულში, რომ ბუნება-კი არა სცდილობს შეეთვისოს ადამიანთა მოთხოვნილებას, არამედ ადამიანი თვით ემონება ბუნების გარდუვალ კანონებს.

ხოლო ქალები სძულდა, სძულდა და ეზიზღებოდა ცნობა-დაუტანებლად, ინსტინკტურად. ის ხშირად იმეორებდა ქრისტეს სიტყვებს: „დედაკაცო, რა გაქვს შენ ჩემთან საერთო?“ და თანაც უმატებდა: „ვეჭვ, რომ თვით ზეციერი გამჩენიც არ იყო კმაყოფილი ამ თავისის შენამოქმედარით“. ქალი მარინიანეს რაღაც არა-წმიდა არსებად მიაჩნდა. პირველ კაცს რომ ცოდვა აქმნევინა, იქიდამ მოკიდებული, ქალი აქამდისაც ცთუნების გზასა და მოწოდებას ადგიაო. ის სუსტია, საშიში და თან უცნაურად ამამღელვარე. მაგრამ დედაკაცის წამწყმედს სხეულზე კიდევ უფრო სძულდა მარინიანეს იმისი მოსიყვარულე გული.

ის გრძნობდა ქალის თვალთა ნაზს ცქერას და, თუმცა თავისი თავი მიუკარებელი ეგონა, მაინც ცოდვის შიში აიტანდა და წარეკვეთებოდა სასოება, რაკი ხედვიდა იმ მოუკლავს წყურვილს სიყვარულისას, რომლითაც აღვსილია დედაკაცის გული. ღმერთს შეუქმნია დედაკაცი მხოლოდ მამა-კაცთა საცდელად და საცთუნებლადაო. ქალთან მარადის ისე გაფრთხილებული უნდა მიხვიდე, თითქო დაგებული მახეაო. მართლაც, განა ისინი საკოცნელად გაღებულის ტუჩებითა და კაცისაკენ მოსახვევნად გამოწვდილის ხელებით ნამდვილ მახეს არ ჰგვანან?

მარინიანე შეწყნარებით ექცეოდა ოღონდ მონოზნებს, რომლებსაც უვნებლად ხადიდა მათ მიერ დადებული აღთქმა, მაგრამ იმათთანაც მწყრალად იყო, რადგან გრძნობდა, რომ მონოზნების საცოდავსა და აღთქმით შებოჭილ გულშიაც-კი ჩარჩენილია ჯერ კიდევ წყარო დაუშრეტელის სინაზისი და ალერსისა, რომელიც არ ეკრძალებოდა იმისს სასულიერო ხარისხს და ხანდახან იმასთან ქცევაშიაც-კი იჩენდა თავს.

მარინიანე ამცნევდა ამ ალერსის წყურვილს მონოზნებს ცხარე მსახურებით მონამებულს თვალებშიაც, სარწმუნოებრივ აღტაცებაშიაც და თვით მაცხოვრის მათ მიერ ერთობ მღელვარე სიყვარულშიაც, რაიცა წყრომით ავუვსებდა ხოლმე გულს, რაკი აქაც წმიდა დედა-კაცური, რაღაც ხორციელი გულის-თქმა ეგულებოდა. იმავე საძულველ სინაზეს ამჩნევდა იმათს ღმობიერებას, იმათის ხმის სიამ-ტკბილობას, როცა გამოელაპარაკებოდნენ, იმათს ძირს დაშვებულს თვალებს და თვით უდრტვინველ ცრემლებსაც-კი, როცა უდიერად შემოელანძღებოდნენ ხოლმე. მონასტრის კარებიდამ რომ გამოვიდოდა, დაიბერტყდა ანაფორის კალთებს და გასწევდა აჩქარებულის ნაბიჯით, თითქო უნდაო, რაღაც საფრთხეს გაექცესო.

როგორც სახლის პატრონს, აგრედვე ვაჭარს ყოველთვისა აქვს რამ საქმე ქალაქის თვით-მმართველობასთან და მის გამგეობასთან. არყოლა გამგეობაში და საბჭოში საკუთარის კაცისა ძრიელ აღონებდა ქართველობას, მეტადრე დაბალის წოდებისას ძალიანა სტკენდა იგი გულს.

ამ საერთო გულისტკივილმა შეჰკრა და შეჰბოჭა თითქმის მთელი ტფილისის ქართველობა ერთის პირით. დიდს მზადებაში იყო მეტადრე ღარიბი ქართველობა. რამდენადაც ვიცით, წელიწადზედ მეტი დუღდა ქართველთა ამ ნაწილში ჩუმი, დაფარული მუშაობა და ისეთი პირიანი, შეკნებული, გამტანი გამოჩნდა ეს ნაწილი ჩვენის ხალხისა, რომ მოწინაღმდეგე რაზმს გუმანიც არ აუღია, ეჭვიც არ მიუტანია ამ შინაგან მუშაობაზედ.

უწინ საბჭოს ამომრჩეველნი სამ ხარისხად იყოფოდნენ. პირველ ხარისხში წილი ჰქონდათ იმისთანა მდიდარ მოქალაქეებს, რომლებიც წელიწადში აძლევდნენ ქალაქის კასსას არა ნაკლებ ოც-დაცხრა თუმნისა. მეორე ხარისხში—ისინი, ვინც აძლევდნენ არა ნაკლებ შვიდის თუმნისა. დანარჩენი მოქალაქენი შეადგენდნენ მესამე ხარისხს. ყოველ თვითოეულ ხარისხს უნდა ამოერჩია ოც და-ოთხი ხმოსანი საბჭოსი. ჩვენს დიდკაცობასაც რომ გაჰღვიძებოდა სურვილი სამოქალაქო მოღვაწეობისა და სამშობლო ქალაქის მოვლა-პატრონობისა, როგორადაც ამ სურვილმა იჩინა თავი ღარიბ ქართველობაში, ადვილად შესაძლებელი იქმნებოდა, რომ პირველ ხარისხის მოქალაქეთა ნახევარი მაინც ქართველობა ყოფილიყო, რადგან რიცხვი ისეთ შეძლებულ ქართველთა, რომელნიც წელიწადში იხდიან საქალაქო ხარჯს ოც-და-ათ თუმანზედ მეტს, ტფილისში თვალსაჩინოა. მაგრამ მათის უზრუნველობის და დაუდევრობის გამო, იგინი აღმოჩნდნენ მოვალენი ქალაქისა და ამიტომ არ შეეძლოთ არჩევანებში წილის მიღება. პირველ ხარისხის ორმოც-და თოთხმეტ ამომრჩეველში სულ ათითორმეტი ქართველი არ ერია. მოჰხდა კრება პირველ ხარისხის ამომრჩეველთა. ამოირჩიეს 24 ხმოსანი. მათში შვიდი ქართველი იყო, ხუთი რუსი, დანარჩენი სომეხი. გამგეობის კანდიდატებმა ნაკლებად გაიმარჯვეს. მეორე კვირას არჩევანები იყო მეორე ხარისხის მოქალაქეთა. აქაც ქართველობა მცირე იყო არჩევანებზედ. 24 ხმოსანში არჩეულ იქმნა მხოლოდ ერთი ქართველი, ნ. დ. ზუბალაშვილი. მაგრამ აქაც გამგეობამ ვერ გაიმარჯვა. მომეტებული ნაწილი იმის კანდიდატებისა არ იქმნენ ხმოსნებად ამორჩეულნი.

უკანასკნელი იმედი გამგეობისა დამყარებული იყო მესამე ხარისხის ამომრჩევლებზედ. მაინც გამარჯვები იმედი ძრიელა ჰქონდა გამგეობას, რადგან ამატუნის რაზმი რიცხვით ცოტა ნაკლები იყო გამგეობის რაზმზედ, ქართველ და რუს ამომრჩეველთა შიში-კი არც ერთს რაზმს არა ჰქონდა. 18 ნოემბრისთვის იყვნენ მოწვეულნი მესამე ხარისხის ამომრჩეველნი. მოიკრიბა თავი ხალხმა. გამგეობის აგენტები ადგენდნენ სიებს დამსწრეებისას და ურიგებდნენ ბილეთებს. უცებ, მოულოდნელად აჭრელდა სიები. გამგეობისა და ყარაბაღელების რაზმთა გვარებში ჩეერია საშიში რაოდენობა ქართულ გვარებისა. ხან ერთი აგენტი მიირბენს კრების თავმჯდომარესთან და და ხან მეორე, რათა შეატყობინოს ღირსება მოსულ ხალხისა. მოულოდნელი „მოსევა“ ქართველობისა საშინლად ეუცხოვა გამგეობას და ეგონა, ვითომც ქართველები ყარაბაღელებთან იყვნენ „შეთქმულნი“. ასეთი გამოცდილი და ღირსეული თავმჯდომარე, როგორიც იყო ქალაქის მოურავი პატივ-ცემული ა. ს. მატინოვი, სულ აირია და მასთან ერთად მთელმა გამგეობამ დაჰკარგა დავთრები. ყარაბაღელებმა-კი წარბიც არ შეიხარეს, რადგან ესმოდათ რომ ქართველობა გამგეობისკენ არ იქმნებოდა. თუმცა არც ყარაბაღელებისგანა ჰქონდა ქართველობას აღებული პირი, მაგრამ მათთვის სულ ერთი იყო, ოღონდ-კი დამარცხებულიყო გამგეობა. მოჰხდა უსიამოვნობა და შფოთი. თავმჯდომარე, ეს ყოვლად ღირსეული კაცი, ჟანდრმებით დაემუქრა ამომრჩევლებს და დაშალა კრება...

ამის შემდეგ მთელი ორი კვირა აგვიანა გამგეობამ ამომრჩეველთა მოწვევა, რათა გამოერკვია საქმის ვითარება და როგორმე მოეშორებინა თავიდგან „ამხედრებული“ ქართველობა. ჯერ დაჰპირდა ქართველთა წარმომადგენლებს, რომ ხუთ ქართველ ხმოსანს კიდევ გავატარებ მეორე ხარისხშიო, მერე როგორც იყო ცხრა ხმოსნამდე ავიდა. მაგრამ მეორე ხარისხისაგან გულ-ნატკენი ქართველობა თხუთმეტ ხმოსანზედ ნაკლებ არა ჰჯაბულდებოდა. გამგეობამ უარი განაცხადა. უკანასკნელ კრებაზედ სრული გამარჯვება ჰხვდა ქართველობას, რომელიც შეიქმნა ბატონი კრებისა და რომელმაც აირჩია 24 ხმოსანი, მათში 14 ქართველი, ხუთი რუსი, ერთი გერმანელი და ოთხიც სომეხი. სრულად დამარცხდა გამგეობა.

აი სათავე იმ უთანხმოებისა, რომელმაც ბუდე გაიკეთა ტფილისის საბჭოში და დღეს ისეთს „კვერცხებსა სდებს“, რომლითაც თავს იწონებენ მხოლოდ მომხრენი მაჰმადის მწვანე ბაირაღისა. დამარცხებულმა გამგეობამ მიჰმართა სხვა გვარ საშუალებას, რომ საბჭოში მაინც გაემარჯვნა. განათლებულებმა, გამოცდილებმა და საქმიანებმა, როგორნიც იყვნენ გამგეობის წარმომადგენელნი, აუქციეს სახელოვან გზას სამშობლო ქალაქის საზოგადო მოღვაწეობისას და აათრიალეს ბაირაღი გვარტომობის ბრძოლისა, რომ ამ ბაირაღის წყალობით მაინც გაეტანათ თავისი. გაიტანე!ს კიდეც, მაგრამ ვაი იმ გატანას.

მოქალაქე

# ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ა. დიუმას დრამა „მირგარიტა გოტიე“. უმთავრეს როლებსა თამაშობდნენ ქ-ნი ეფ. მესხი და ბ-ნი კოტე მესხი. ქ-ნ ეფ. მესხის თამაშობა მეტად მოეწონა საზოგადოებას.

*** ტფილისის საბრეშუმო სადგურში მუშაობა 15 აპრილიდან დაიწყება; ხოლო კავკასიის სოფლის მასწავლებელთათვის ბაღოსნობისა და საზოგადოდ მეურნეობის შესახებ ლექციების კითხვა ცოტა უფრო გვიან.

*** ფოთოგრაფს ბ-ნ როინაშვილს განუზრახავს ფოთოგრაფთა საზოგადოების დაარსება და სთხოვს, ვისაც წევრად უნდა ჩაეწეროს, თავისი ადრესი გამოუგზავნონ.

*** ამ დღეებში ნავთლუღში, შემდეგი უბედურება მოხდარა: თავისუფალ დროს სამხედრო საავადმყოფოში მომსახურე ერთი ნავთლუღის საფერშლო სკოლის შეგირდი რკინის გზის მატარებლის ქვეშ მოჰყვა, რომელმაც ერთი ფეხი მოსწყვიტა... საბრალომ საყარაულომდე ძლივს მიაღწია და იქ გული შეუწუხდა. დაშავებული სამკურნალოში წაიყვანეს.

*** ამ დღეებში დაიბეჭდება მეორე წიგნი 1889 წელს გამართულ კავკასიის სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის აღწერისა.

*** წარსულ თებერვალს ტფილისის საყასბოებში დაუკლავთ 1,772 სული მსხვილ ფეხი და 621 სული წვრილ-ფეხი საქონელი.

*** ამ წლის თებერვლის განმავლობაში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის შემნახველ კასსაში 35,071 მანეთი და 75 კაპეიკი შემოსულა; მაშინ ამ დროს მხოლოდ 8,553 მანეთი და 58 კაპ. ყოფილა. მაშასადამე წლეულ შარშანდელზე 26,518 მანეთით და 17 კაპეიკით მეტი.

*** შაბათს 6 მარტს, შუაღამისას ძლივს მოვიდა რუსეთის ფოსტა.

*** როგორც შევიტყეთ, სასანიტარო დასების ინსპექტორს, ბ-ნ გ. ბ. სტეპანოვსა სურს მოხსენება წარუდგინოს ქალაქის გამგეობას შესახებ იმისა, რომ ქალაქმა მოიწვის ჯამაგირით რამდენიმე ქალი-ექიმი, რადგანაც ავადმყოფი ქალები ძრიელ ერიდებიან ექიმ-კაცებთან წამლობასა და გასინჯვასაო.

*** ავჭალა: 5 მარტს, საღამოს 6 საათზე მატარებლის № 46 ქვეშ ჩავარდა ზემო-ავჭალის მცხოვრები მართა [illegible], 70 წლის, და მარჯვენა მკლავი მოეგლიჯა. დაშავებული მეორე მატარებლით გამოგზავნეს ტფილის, რკინის გზის სამკურნალოში, მაგრამ საცოდავმა მოხუცმა გზაზედ სული განუტევა.

*** სოფ. განისა (დუშეთის მაზრა): 28 თებერვალს აქ ერთი დიდი უბედურობა დატრიალდა. განისის მღვდელი და დიაკვანი ამ დღეს, კვირა დილით, თავიანთ სახლიდამ ეკკლესისკენ მიდიოდნენ, ცისკარი უნდა ელოცნათ. ამ დროს მაღალ მთიდამ წამოვიდა ძრიელ დიდი თოვლის ზვავი. შეშინებულებმა აღარ იცოდნენ რა უნდა ექმნათ, დიაკვანმა შიო არგანაშვილმა დაუყვირა თავის მღვდელსა: მღვდელო, თავს უშველეო. მღვდელი გაიქცა თავის სახლისკენ. ზვავი ეკლესიას დაეცა და მერე მღვდლის სახლს, სწორედ იმ დროს, როდესაც მღვდელმა და იმის სახლობამ თავს უშველეს. სახლობას თურმე რაღაც გრიალ-ქუხილი გაუგია, ჰგონებია, სახლი გვენგრევაო და კარში გამოცვივნულან სუყველანი, მღვდლის მეუღლე და ხუთი შვილი. პრიჩეტნიკიც ჯერ შიშისაგან გაქცეულიყო, მაგრამ, ეტყობა, ცოლ-შვილი მოჰგონებია და ისევ უკან დაბრუნებულა, დაუვლია ხელი შვიდის წლის ქალისათვის და კარში გამოვარდნილა. სწორედ ამ დროს მოასწრო ზვავმა და ორივე დაიტანა. დიაკვნის ცოლი გადარჩენილა და ყვირილი დაუწყვია. აქ მახლობლად ექვსი კომლი ოსი სცხოვრობს. ესენი მაშინადვე მიეშველნენ, კაცები და დედაკაცები; ზოგი ნიჩბით, ზოგიც ხელით სთხრიდა თოვლს, იქნება როგორმე გადავარჩინოთო და მართლა, $^{1}/_{2}$ საათის შემდეგ ორივენი ერთად იპოვნეს. უბედურ მამას გულზედ ჰყავდა მიკრული თავისი ქალი. მამა მკვდარი იყო, ქალმა-კი თვალი გაალო თავის დედას შეჰხედა, დაიკვნესა და კიდეც განუტევა სუ-

---

მარინიანეს ჰყავდა დისწული, რომელიც სცხოვრობდა დედასთან, იქვე მეზობლად მდგარ პაწია სახლში. პიძიას სურდა, რომ იმის დისწული უთუოდ გამოსულიყო დად მოწყალებისად.

ის იყო ლამაზი, მაგრამ ცეტი და ყველასი აბუჩად ამგდები გოგონა. მოძღვარი რომ დარიგებას უკითხავდა, ის სკდებოდა სიცილით და დაატყობდა თუ არა, გაჯავრდაო, მოეხვეოდა კისერზე და დაუწყებდა მხურვალედ კოცნას. მოძღვარი ინსტიქტურად სცდილობდა, მალე დაეხსნა თავი ამ ხვევნისაგან, თუმცა ეს ხვევნა-კოცნა ჰგვრიდა რაღაც უცნაურ სიამეს და უღვიძებდა მამა-შვილურ გრძნობას, იმ გრძნობას, რომელიც უჩინარად დამარხულია ყველა მამაკაცის გულის კუნჭულში. ხშირად, როცა მარინიანე და იმის დისწული გაისეირნებდნენ ხოლმე მინდორ-ველად, მოძღვარი ჩამოუგდებდა საუბარს ღმერთზე, მაგრამ ქალი სულაც არ უგდებდა ყურს და სიცოცხლით უზომოდ დამტკბარი, შესცქეროდა ცას, ბალახს, ყვავილებს. ზოგჯერ გამოეკიდებოდა პეპელას, დაიჭერდა და იტყოდა: „შეხე, ბიძიავ, რა ლამაზია,—რომ არ გინდოდეს, აკოცებ“! ეს პეპელთა და იასამანის ყვავილთ კოცნის სურვილი იყო, რომ აბრაზებდა და უკლავდა მოძღვარს გულს,—ეს არისო, ეგონა იმას: ჩემდა საზიზღარი, ყველა დედა-კაცის ბუნებასთან განუყრელად თანშეზრდილი ალერსის სურვილიო.

და აი, ერთხელ, როცა მოძღვარი იჯდა სარკესთან შესაპნულის პირისახით და იფხეკდა წვერ-ულვაშს *), მედავითნეს ტოლმა, რომელსაც მოძღვრის ოჯახში დიასახლის-მოურაობა ებარა, ფრთხილად განუცხადა, რომ შენს დისწულს საყვარელი აუჩენიაო.

ამ ამბავმა თავს ზარი დასცა მარინიანეს. ცოტა დააკლდა, კინაღამ შეეხუთა სული და კაი ხანს იყო ენა-ჩავარდნილივით გაჩუმებული. ბოლოს მოვიდა გონზე და სთქვა:

— მაგ ყოვლად შეუძლებელია! თქვენ ტყუით, მელანი.

— ღმერთმა სული ამომხდინოს, თუ ტყუილს მოგახსენებდე! მიუგო გლეხის დედა-კაცმა გულზე ხელის დადებით: გარწმუნებთ, რომ თქვენი დისწული ყოველ საღამოს, დაწვება თუ დედა მისი არა დასაძინებლად, მიდის ერთს ვაჟთან მდინარეს ნაპირას,—იქ შეიყრებიან ხოლმე, და თუ ჩემი არ გჯერათ, მიბძანდით თერთმეტს საათზე და მაშინ ნახავთ, ვტყუი, თუ არა.

მოძღვარმა დაანება თავი პარსვას და აჩქარებულის ნაბიჯით მოჰყვა ოთახში აქეთ-იქით სიარულს,—ასე იქცეოდა ყოველთვის, როცა რამ დიდად საწყენი და ასაშფოთებელი შეემთხვეოდა ხოლმე. როდესაც ბოლოს ისევ აიღო ხელში სამართებელი და შეუდგა წვერის პარსვას, სამჯერ გაიჭრა ლოყა. მთელი ეს დღე ხმა არ ამოუღია და მეტად გულმოსული იყო.

მოძღვრის გულის წყრომას აქ ზედ ერთვოდა სასოწარკვეთილება სულიერის მამისა და ბავშვისაგან გაწბილებულის გადიასი, თავ-მოყვარული გულის-ხეთქა მშობელთა, რომლებსაც ქალი უცხადებს, რომ ჩემის საქმროს არჩევანში თქვენ არაფერ შუაში ბძანდებით, არა გეკითხებათ რაო.

ნასადილევს მოჰკიდა ხელი წიგნს და ვითომ დააპირა კითხვა, მაგრამ ველარ შეიძლო: თანდათან უფრო და უფრო ერეოდა გულში ბრაზი. ათი საათი რომ დაჰკრა, მოავლო ხელი თავისს ჯოხს, უშველებელ კეტს, რომელსაც ყოველთვის ატარებდა თან, როცა ღამით წავიდოდა სამღვდლო სამსახურის ასასრულებლად, შეატრიალ-შემოატრიალა თავისს ღონიერ, გლეხურს ხელში და ღიმილით გადახედა ჯოხის ლაზათიანს პროწიალს.

უცბად მოიქნია, კბილების კრაჭუნით დაარტყა სკამს და მილეწა სკამი ნაკუწ-ნაკუწად.

მერე გაალო კარები და ის იყო, დააპირა გასვლა, მაგრამ შეჩერდა ელდა-ნაცემივით, გაოცებული გასაშტერებლად მშვენიერის მთვარიანის ღამის სანახაობით, ისეთის ღამისა, როგორსაც ხშირად ვერა სჭვრეტს კაცის თვალი. დიადმა სიტურფემ ამ ნათელის, უცხო და საოცარის ღამისამ უეცრად გასჭვალა გულის სიღრმემდის გრძნობიერისა და აღტაცებულის სულის პატრონი მოძღვარი.

კაშკაში, ბადრი მთვარე ჰფენდა იმის ბაღს ვერცხლის ფერ შუქს. ამ შუქში გარკვევით ირჩეოდა რიგზე ჩამწკრივებული ხეხილები და ხეივნების ქვიშაზე უცნაურად გადაწვდილი ხეების ჩრდილი. თბილი, უძრავი ჰაერი დაეტკბო სუფთა და საამურ სურნელებას უშველებელის თხაყურძენისას, რომელიც თითქო ჩახუტებოდა სახლს და მთლად შეებურა იმის კედლები.

მოძღვარმა ღრმად და ისეთის სიამით, რა სიამითაც ლოთი დაეწაფება ხოლმე ღვინოს, შეითქვა ეს სურნელი ჰაერი და ნელის ნაბიჯით

*) ნუ დაგავიწყდება, მკითხველო, რომ აქ ფრანგი-მღვდელია გამოსახული.

მთარგმნელი

ლი. საწყალი დიაკვანი 32 წლის ვაჟკაცი იყო, 11 წელიწადი მსახურებდა და ბლაღოჩინს უნდა წარედგინა თურმე მღვდლობაზედ, ქაღალდიც-კი დაწერილი ჰქონია.

თოვლი აქ ძრიელ დიდი არის: ვაკეზედ $2\frac{1}{2}$ არშინი სიმაღლე აქვს; მთაში, საიდგანაც ზვავი წამოვიდა, 3 არშინზედაც მეტია. ეკკლესია, რომელსაც ზვავი დაეცა, აღარა სჩანს და არავინ იცის, დანგრეულია, თუ არა.

*** ხევი: *) ტყუილად კი არ არის ნათქვამი, მარტი რომ წინ გედვას, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო. გვეგონა, ზამთარი გავისტუმრეთო და გვიხაროდა. ის-კი არა თუ სად არის! თებერვლის 24-ს, ნაშუადღევის 5 საათზე, დაიწყო თოვნა და 25-ს ნაშუადღევის 2 საათამდე გასტანა. შემდეგ ჯერ გამოიდარა, მაგრამ მერე ისევ „ჟანჟღლვა“ დაიწყო და ჯერეთაც იჟანჟღლება. თოვლი აქ ბარად $\frac{3}{4}$ არშინის სიმაღლეზეა და კოზში-კი რაღა თქმა უნდა, 1 არშინზე მეტი იქნება.

თებერვლის 25-ს, ცოტას გაწყდა, კინაღამ სოფლის ხევში მღვდელი ბართლომე გარსიაშვილი ცხენიანად თოვლის „ნამქარს“ ქვეშ არ მოჰყვა.

*** სოფ. ზრუთი, (გორის მაზრა): შვიდის წლის განმავლობაში ჩვენს სასოფლო პურის მაღაზიაში, ათას კოდამდე პური და ქერი შეგროვდა. აქედამ სამას კოდამდე სოფელშივე გაიცა სასარგებლოდ. ახლა გამოეცხადა სოფელს: „პური და ქერი უნდა გაიყიდოს და ფულად იქცესო; პურს ფუთს გავყიდით 70 კა., ხოლო ქერს 60 კაპ.“ ამორჩეულმა კაცებმა უარი სთქვეს ამაზე. „აგრე იაფად ვერ გავყიდითო, ფუთ პურში 80 კაპ. იძლევიან და ქერში 70 კაპ.“ სოფელს 2800 ფუთზე მეტი ჰირნახული აქვს და ფუთზე რომ ორი შაური დააკლდეს, დიდი ზარალია, 300 მანათამდე გასჭრის. ამორჩეულ კაცებს უნდათ სთხოვონ, ვისიც ჯერ არს, ნება მისცენ, რომ თავიანთი პური თავადვე გაჰყიდონ. საჭიროა, რომ ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

*) ამ ამბავმა დაიგვიანა მთაში ზვავის გამო.

*** ს. აწყური (თელავის მაზრა): ჩვენი სოფელიც არ ჩამორჩა დანარჩენ კახეთის სოფლებს მოუსავლიანობაში; პურისა, სიმინდისა და ფეტვის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. საქონლის საკვებიც სამყოფი არ მოვიდა. მოუსავლობას ზედ დაერთო საქონლის ჭირი, რომელმაც კარგა ბლომად საქონელი იმსხვერპლა. თუმცა ღვინის მოსავალს არა უჭირდარა და ღვინოც კარგი ღირსებისა დადგა, მაგრამ, როდესაც დროზედ ვერ გაასაღებ ისე მაინც, როგორც თვით გიჯდება, ისევ მოუსავლიანობას უდრის. რადგანაც ხელ-მოკლე ხალხს იმედი გადაუწყდა ღვინის გაყიდვისა და გაჭირვება ძალას ატანს, ბევრმა დაიწყო ღვინის ზიდვა პანკისის (თიან. მაზრაშია) ხეობის ქისტების სოფლებში და იქ სიმინდზედ გაცვლა. სამ ჩაფს ღვინოში ერთს კოდს აშმორებულ, დაობებულ სიმინდს აძლევდნენ. ესე იაფად გასაღება ღვინისა იმდენად გაჭირვებამ არ გამოიწვია, რამდენადაც იმ ხმებმა, ვითომც წლეულ თეთრი ღვინო უნდა გადიღვაროსო და სიმინდი და ფეტვი არ იხვნასო, რადგანაც ხოლეროზა იქნებაო. კარგს ინებებდნენ, ვისაც ვალია, ეხლავე ჩააგონონ ხალხსა, რომ ეს ხმები უსაფუძლოა, თორემ გვიან-ღა იქნება.

*** იქიდგანვე: ჩვენ სოფელში შარშან ღვინობისთთვეში დაარსდა ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა. ამ სკოლაში ოთხმოცამდე შეგირდია ორთავე სქესისა; ერთი ამოდენი უკანვე გააბრუნეს ადგილის უქონლობის. გამო. ხალხი დიდად მადლიერია სკოლისა. ყოველს კვირა-უქმე დღეს ქართულად გალობენ ეკკლესიაში ჩვენი სკოლის მოწაფენი და მშვენივრადაც გალობენ კარბელოვის კილოზედ. ჯერ-ჯერობით სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს; სექტემბრიდამ-კი ექმნება. წარსულ წლის დეკემბერში გაიცა იჯარით ს. აწყურის სკოლის შენობის აშენება 4930 მანეთად. მასალის მომზადებას უკვე შეუდგნენ. რადგანაც წევრნი ამშენებელ კომიტეტისა თელავში სცხოვრობენ და სამსახურიც ნებას არ მისცემთ შორიდგან თვალ-ყური ადევნონ ამ შენობას, ამიტომ ძლიერ კარგი იქნებოდა, აქაურ საიმედო კაცებისათვის დაევალებინათ თვალ-ყურის გდება.

*** სოფ. ტყიბული: დღეს, პირველ მარტს, ორასამდე მუშამ მოიყარა აქ თავი და აჰყარეს ერთი წყვილი რელსი თავის შპალებით მეაქციეთა საზოგადოების რკინის გზის შტოზე და მით მატარებელის მოძრაობა შეაჩერეს. მიზეზი ამ უკანონო მოქმედებისა, როგორც თვით მუშები ამბობენ, ის არის, რომ 1890 და 1891 წლებში ვიმუშავეთ, გავაკეთეთ ეს გზა და დღემდე ფული არ მიგვიღიაო.

*** მომავალთ თვეს, როგორც შეუტყვია Новое Обозр., მოხდება კრება ტფილისის საკრედიტო საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს შედეგი ბ-ნ პალტოვის რევიზიისა.

*** ამ სუსხიანმა ზამთარმა ბევრი ზარალი მოიტანა. განსაკუთრებით დააზარალა მეცხვარეები. სიცივისაგან და უსაჭმლობისაგან შეწუხებული ცხვარი ბუზებივით იჟლიტება. ვისაც ათასობითა ჰყავდა ცხვარი, ეხლა ასობითაც ძლივს დასთვლით. ამ გარემოებამ ისე შეაწუხა ერთი მეცხვარეთაგანი, რომ ამ დღეებში დარდისაგან თავი მოიკლა (Нов. Обоз.)

*** როგორც ბაქოს სამოსწავლო ოლქის დირექტორის ანგარიშიდგანა სჩანს, 1892 წელს ბაქოს ოლქში სულ 19 დაბალი სასწავლებელი ყოფილა, 112 მასწავლებელი (ამათში 21 ქალია), 185 მოწაფე (ამათში 421 ქალი).

მიხეილის სამოქალაქო სასწავლებელში 179 მოსწავლე ყოფილა, ალექსანდროვის სასწავლებელში—79, სიხელოსნოში—109, „ტურგენევის“-აში—52, მეოთხე სახალხო სასწავლებელში—66 (ამათში 13 ქალი), მეხუთე „ლერმონტოვის“ სახალხო სკოლაში—44, მოსწავლე ქალი და 33 ვაჟი, სანავოსნო კლასში—71 მოწაფე, პირველ რუს-თათრულ სკოლაში—68, მეორე რუს-თათრულ სკოლაში—35 მოწაფე.

კერძო სკოლებში: პობედონოსცევისა, შეპილისა, ვილდისა, ზოთიკაშვილისა და ნობელისაში სულ—275 მოწაფე ვაჟი იყო და 74 ქალი.

სომხურ სამრევლო ვაჟების სკოლაში—275, ქალების სკოლაში—257, სომეხ-ლიუტერანთა სკოლაში—40 ვაჟი და 11 ქალი, პროტესტანტების სკოლაში 39 ვაჟი და 22 ქალი (Нов. Обоз.)

*** ამ თთვის 6 მეორე ხევის ქუჩაზე მარტიროზოვის სახლში უეცრად გარდაიცვალა ქვრივის სუხარევის 11 წლის ვაჟი.

## კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრება

პარასკევს, 5 მარტს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას კრება ჰქონდა. კრებას წევრნი ძლიერ ნაკლებად დაესწრნენ: კრებამ განიხილა ამ 1893 წლის ხარჯთ-აღრიცხვის სია.

წარსულ წლის შემოსავლიდან 1,131 მანეთისა და 51 კაპეიკის მაგიერ, როგორც ჰფიქრობდნენ წინდაწინ, დარჩა ამ 1893 წლისათვის 2,313 მანეთი და 52 კაპეიკი. ამ 1893 წელს ხარჯთ-აღრიცხვით საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შემოსავალი 10,509 მანეთი და 94 კაპ. და გასავალი-კი 7,531 მანეთი, მაშასადამე, უნდა დარჩეს 1894 წლისათვის 2,978 მ. და 78 კ. კრებამ გადასწყვიტა—მიეცეს 500 მანეთი კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რადგანაც მას კრების დარბაზის გასანათებელ-გასათბობი ფულიც არ მოეპოვებაო. ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვით უნდა გადადებულიყო მოულოდნელ ხარჯისათვის 500 მანეთი, მაგრამ კრებამ ამ რიცხვს 200 მანეთი მოაკლო. საბაღოსნო სკოლაში საირიგაციო მუშაობისათვის კრებამ გადასდო 300 მანეთი.

ამ წლის საბაღოსნო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა ვერ განიხილა კრებამ, რადგან ანგარიშში არ იყო რიგიანად დასაბუთებული; ამიტომ ბ-ნ ევანგულოვის თხოვნით ამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და, გარჩევა კრებამ მიანდო საბაღოსნო სკოლის გამგეს ბ-ნ ევანგულოვთან ერთად, რომ შემდეგ წარმოუდგინონ საზოგადო კრებას.

ბოლოს კრებამ განიხილა აგრონომის ბ-ნ ვ. სტაროსელსკის თხოვნა იმის შესახებ, რომ სამეურნეო საზოგადოებამ საბაღოსნო სკოლიდგან მისცეს მას სხვა-და-სხვა ხეხილები დ. ყვირილას ახლო, სოფ. საქარაში გამართულ საფილოქსერო სადგურიბაღში გასაშენებლად. კრებამ გარდასწყვიტა, თუ საბაღოსნო სკოლას მოეპოვება მეტი ხეხილები, ვიდრე თვითონ სჭირდება, მიეცეს ბ-ნ სტაროსელსკისაო.

კრება ღამის $11\frac{1}{2}$ საათზედ დაიშალა.

## ქართველთა მშობელთა საზოგადოების გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

— ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა კიდევ მოგახსენოთ „ქართველთა მშობელთა საზოგადოების“ დაფუძნებაზედა. ჩვენ გვგონია, რომ ეს დაწესებულება იქნება ერთად-ერთი საშუალება იმ კასტური მდგომარეობიდამ გამოიყვანოს დღეს ჩვენი ხალხი, რომელშიაც სხვა-და-სხვა მიზეზების წყალობით არის ჩავარდნილი. დასარწმუნებლად თვალი გადაავლეთ ჩვენს ქვეყანას: აქ სამღვდელოება გამდგარა, იქითკენ თავად-აზნაურობა, ხოლო გლეხობა კიდევ ქართველთ მოხელეთა და მოვაჭრეთ ვერა გაუწყვიათ-რა კერძოდ სათავისოდ კასტური რამ და არიან დაქსაქსულნი, ვითარცა ცხოვარნი უმწყსონი...

იმას მოგახსენებდით, რომ „ქართველთა მშობელთა საზოგადოების“ დაფუძნება ამ კასტურ მდგომარეობიდამ გამოიყვანს ჩვენს ხალხსა, დაუახლოვებს მის ყველა წოდებას ერთი-ერთმანეთს, შეჰქმნის ერთ ხორც და ერთ სისხლ, ერთ სულს და ერთ გულს!..

ი. რ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოვაცხადოთ ანგარიში ბაქოში 23 იანვარს გამართულ ქართულ საღამოს შემოსავალ-გასავლისა.

---

გაუდგა გზას,—ღამის ეშხმა თითქმის დაავიწყა დისწული.

სოფელში რომ შევიდა, ისევ შესდგა,—მთვარის მსჭირვალე და ალერსის მომგვრელის შუქით მოფენილმა ჰალამ მოსტაცა თვალი. სადღაც, სოფელს იქით, წამის-წამს ისმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ბაყაყის მოწკრიალე ყიყინი, საიდამღაც შორით რაკრაკით მოსძახოდა ბულბული არემარეს თავისს მინაზებულს, ეშხის აშლილ კრიმანჭულებს და მით კიდევ უფრო მომხიბვლელად ხადიდა ამ ისეც ტურფასა და გულ-წამტაცს ღამეს.

მოძღვარი ისევ გაუდგა გზას, მაგრამ იმისი არსება შეიპყრო რაღაც უცნაურმა მიბნედილობამ. თითქო მოულბა გული, აიტანა უეცარმა დაღლილობამ და სისუსტემ. დავჯდებიო, მოინდომა, და დავტკბები შემოქმედისაგან გაჩენილით შემოქმედისვე მჭვრეტელი.

ხშირად გველივით მიხვეულ-მოხვეულ პაწია მდინარის ნაპირებს მისდევდა ჩარიგებულ ალვის ხეთა ნაპირების კვალადვე დაკლაკნილი ზოლი. მდინარესა და იმის ნაპირებს გადაფენოდა და შემოებურა მსუბუქის მჭვირვალე ღრუბლით თხელს მოთეთრო ნისლს, რომელსაც მთვარის სხივებზე ვერცხლისებური ფერი დაჰკრავდა.

მოძღვარი ერთხელ კიდევ შეჩერდა, გატაცებული სასოების გრძნობით, რომელიც თანდათან უფრო ძლიერდებოდა და რომელსაც ვერა ძალით ვეღარ მოერეოდა. და აი, უცებ ის აიტანა განურკვეველმა სევდამ. მან იგრძნო, რომ ჩაესახა გულში ერთი იმ უცნაურ შეკითხვათაგანი, რომლის პასუხსაც დრო და დრო ეძებდა ხოლმე თავის გულის სიღრმეში.

რისთვის შეჰქმნა ღმერთმა ესე ყოველი? თუ ღამე დასაძინებლად არის გაჩენილი, მოსასვენებლად, თავდასავიწყებლად, მაშ რისთვის-ღა შეჰქმნა იგი ესდენ ტურფა, საღამოის და ცისკრისამც უტურფესი? რა გასაჩენი იყო ეს მომჯადოებელი მნათობი, უფრო პოეტური, ვიდრე თვით მზე, და თითქო განგებ საიმისოდ გაჩენილი, რომ ნათელი მოჰფინოს საგნებს, რომელიც ერთობ საიდუმლო და სათუთია მზის ბრჭყიალა შუქისათვის?

რად ღვიძავს ღამ-ღამე და არ სძინავს სხვებივით, რაც-კი გალობაში გახელოვნებული ფრინველია? რად მოსავს ამ საიდუმლოებით მოცულს, სიბნელე-ნარევ სინათლეს თავისის სიმღერა-ჭიკჭიკით? რის მაქნისია ეს გულის ამაძგერი ნახევარ-სინათლე? რაა ეს მკვნესარე გრძნობა, ეს სულის შფოთვა, ეს მთელის სხეულის მიდუნება, მიბნედილობა? რა დასაბნევი იყო ცუდ-უბრალოდ ამდენი ნიჭი და მადლი, თუ არ შეხედავს ადამიანი, რადგანაც სძინავს თავის საწოლში? ვისთვის არის გაჩენილი ეს დიადი სიტურფე-სიმშვენიერე, მთელი ეს პოეზია, რომელსაც ზეცა ანიჭებს მიწას? დიდხანს იდგა მოძღვარი, აზრ-გამოურკვეველი, პასუხ-მიუცემული.

უცებ მდინარეს მწვანე კიდეზედ, კაშკაშა და გამსჭვირვალე ნისლში შებურულ ალვის-ხეთა ჩრდილს ქვეშ გამოჩნდა ორი ლანდი. ერთი მათგანი—ცხადია, კაცი,—ეხვეოდა თავის მეგობარს ყელზე და დრო-გამოშვებით უკოცნიდა შუბლს. ამ ორმა ჩრდილმა ერთბაშად გააცოცხლა მთელი უძრავად მყოფი არემარე, რომელიც შემოსდგომოდა ამათ გარს, თითქო უცხო სურათის თვალ-წამტაცი ჩარჩოაო. ორივე ჩნნდა ერთ განუკვეთელ სულიერად, რომელისთვისაც გაჩენილიყო ეს ტკბილი, წყნარი ღამე, და სულიერი მოდიოდა მოძღვრისაკენ, თითქო თვით შემოქმედისაგან იმის შეკითხვის ცოცხალ პასუხად მოვლინებული.

მოძღვარი ისევ ისე უძრავად დარჩა, გულის სიღრმემდის შეშფოთებული, ძალზედ გულ-აძგერებული. ასე ეგონა, თვალით ვხედავო რაღაც ძველ-აღთქმისებურ სურათს, რაღაცას რუთისა და ბოოზის სიყვარულის მინაგვარს, აღსრულებას შემოქმედის ნებისას იმ დიდ-ჩინებულის ვითარებით, რომლითაც გარემოცავს ხოლმე ამ აღსრულებას სამღვთო წერილი. ყურში თითქო ზარივით ჩასძახოდა ვიღაც გულ-თქმიერის და გულ-მდუღარე პოეზიით აღსავსე ნაწყვეტებს „ქებათა ქებისას“.

„ეგებ ღმერთმა შეჰქმნა ეს ღამენი, რომ უფრო სანატრელი იერი და სხივი მისცეს კაცთა სიყვარულსო“, ფიქრობდა მარინიანე.

ფიქრობდა და უთმობდა გზას წყვილად ჩაკონილ ქალ-ვაჟს, რომლებიც უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ. იმან დიაღაც იცოდა, რომ იმის წინაშე იყო იმისივე დისწული, მაგრამ ახლა კრძალვით შიშობდა ღვთის ურჩობას. სჩანს, ღმერთი გვაძლევს ნებას სიყვარულისას, თუკი ამკობს ტრფიალება-სიყვარულს ასეთის გასაშტერებლად მშვენიერის სურათით.

იფიქრა ეს მოძღვარმა და გასწია გონება-დაბნეულმა, თითქმის სირცხვილეულმა, თითქო შეპარულიყოს ტაძარში, სადაც არ ჰქონდა შესვლის ნება.

გრ. ვოლსკი.

| | მან. | კ. |
|---|---|---|
| შემოსავალი: | | |
| ბილეთები გაიყიდა . . . . | 1810 | 80 |
| შემოსწირეს . . . . . | 180 | „ |
| ბუფეტისა . . . . . . | 820 | „ |
| კეტონები და ყვავილები გაიყიდა . . . . . . | 533 | „ |
| სულ . | 3343 | 80 |
| ხარჯი: | | |
| ორი გერბის მარკა არზისათვის. . . . . . | 1 | 60 |
| სათეატრო მარკები. . . . | 100 | „ |
| ორკესტრი . . . . . . | 90 | „ |
| დუდუკი და საზანდარი . | 50 | „ |
| დეკორატორს, ბუფეტის გამართვა და სხვა . . . | 43 | 50 |
| ყვავილები . . . . . . | 64 | 05 |
| კეტონები . . . . . . | 266 | „ |
| პატენტი . . . . . . | 13 | 05 |
| სასმელ-საჭმელი . . . | 356 | 05 |
| დერციკს ტანთ-საცმლის ქირა . . . . . . . | 40 | „ |
| დეკორატორებს და მუშებს. | 42 | „ |
| განათება ცხოველ სურათებისა. . . . . . . | 22 | „ |
| პარიკმახერს . . . . . | 15 | „ |
| სცენისთვის საჭირო ნივთები . . . . . . . | 56 | 60 |
| მოწვეულ არტისტების გზის ხარჯი . . . | 169 | 20 |
| სხვა წვრილი ხარჯი . . | 211 | 55 |
| სულ . | 1540 | 60 |

მოგება დაგვრჩა 1803 მ., 20 კ. აქედგან 900 მან. გავგზავნა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“; დანარჩენი წარუდგინა ბაქოს გუბერნატორს დასარიგებლად ობოლთათვის, რომელთაც ხოლერობას მშობლები დაეხოცათ ქ. ბაქოს, შავ-ქალაქსა და ბალახანაში.

აი შემომწირველთა სია:

ბ-ნები: გორდიევსკი—5 მ. დოლუხანოვი—5 მ., 10 კ. ტაგიევი—20 მ. დესპოტ-ზენოვიჩი—5 მ. პოლკოვნიკი მარკოვი—5 მ. N N—2 მ., 90. N N—1 მ. გენერ. ნაზიმოვი—3 მ. არამიანცი—15 მ. აივაზოვი—? არაფელოვი—90 კ. ჯაყელი—90 კ. N N—80 კ. ლ. ლალაევი—10 მ. აშუმოვი—5 მ. კოსტ.—80 კ., პოლოსოვი—3 მ. ბინკი—1 მ., 80 კ. სარუმოვი—5 მ. კრეისლერი—1 მ., 80 კ. პარჩევსკი—12 მ., 90 კ. მუთაფოვი—10 მ. ია. ლალაევი—10 მ. ქ-ნ შონ—3 მ., 90 კ. რატიშვილი (ქუთაისიდგან—5 მ. ადმუროვისა (ტფილ.)—3 მ. დემუროვი—10 მ. გურევიჩი—6 მ. ყასაბოვი—15, ჭინჭარაძე—20 მ.

ამის გარდა ბ-ნმა რთინაშვილმა შემოსწირა ფოტოგრაფიული სურათები.

დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ საღამოს გამართვისათვის ქალბატონები: ე. ზ. სტალინსკისა, მ. ლ. კოსტენსკისა, და ა. მ. ანტონოვისა, აგრედვე ყველა ისინი, ვინც ამ საქმეში დაგვეხმარა.

საღამოს გამგენი.

28 თებერვალი.
ქ. ბაქო.

# დეპეშა

6 მარტი.

**პეტერბურგი.** გუშინ ედინბურგის ჰერცოგის მეუღლე თავის ქალითურთ საზღვარ გარედ გაემგზავრა. მათი უმაღლესობა გააცილეს ხელმწიფე იმპერატორმა და ხელმწიფის გვარეულობამ.

სამხრეთ-უსურიის განყოფილების უფროსი გენერალი მეზენცევი დაინიშნა ჟანდარმების კორპუსის შტაბის უფროსად.

Гражданинъ-ი იუწყება, რომ სამინისტრომ გადასწყვიტა სანიტარულის მხრივ დაათვალიეროს რუსეთის ყველა რკინის გზები.

**პარიჟი.** სენატის პრეზიდენტი ჟიულ ფერრი გარდაიცვალა გუშინ $6^1/_2$ საათს გულის ავად-მყოფობით, რაც დასჩემდა 1888 წლის იანვრიდამ, როდესაც მისი მოკვლა უნდოდათ და რევოლვერი ესროლეს. მაშინ ტყვია გვერდში მოხვედრია და გული ცოტად დაჰშავებია. მრავალ პოლიტიკურ მოღვაწეთ მოეკრიბათ თავი ფერრის სახლის წინ და ელოდნენ, როდის გვხდება რიგი შინ შესვლისაო.

პანამის საქმე: ლესსეპსის მცველმა ბარბუმ განაგრძო თავისი სიტყვა და ამტკიცებს, რომ ლესსეპსმა არ იცოდა, მისგან მიღებული ფული როგორ მოიხმარა რეინაკმა; არ შეიძლება ლესსეპს დაჰბრალდეს ვისიმე დაქრთამვა; დასასრულ სთხოვს ნაფიც მსაჯულთ სინიდისით გაასამართლონ ბრალდებული და აღადგინონ მისი დიდებული სახელი (ხანგრძლივი ტაშის-ცემა).

**სტამბოლი.** თამბაქოს მონოპოლიის საზოგადოებისაგან პორტამ მიიღო სესხად 1,550,000 გირვანქა სტერლინგი, რომლის ნაწილიც რუსეთს გარდაეცემა ზარალის საზღაურად.

**ვენა.** რეიხსრატს მოხსენდება მლადო-ჩეხების თხოვნა, რათა ავსტრიაში ყველას ნება ჰქონდეს არჩევნებში მონაწილეობის მიიღებისა. 400 დეპუტატთა შორის ამას შემდეგ უნდა იყოს: 244 სლავიანი, 145 ნემეცი და 11 იტალიელი. სლავიანთა დეპუტატობა ესე განაწილდება: 92 ჩეხი, 63 პოლონიელი, 52 რუსი, 21 სლოვენელი, 12 სერბიელ ხორვატი და 4 რუმინიელი.

7 მარტს

**პეტერბურგი.** საგანგებო კომიტეტის ანგარიშის გამო, გამოცხადებულია უმაღლესი რესკრიპტი, რომელიც მადლობით იხსენიებს მემკვიდრე ცესარევიჩს, კომიტეტის წევრთ და ყველა იმათ, ვინც კომიტეტის ბრძანებას ასრულებდა ან რაიმე ღონის-ძიება იხმარა ხალხის გაჭირვებისაგან დასახსნელად.

ხელმწიფე იმპერატორმა, მიიღო რა უწმ. სინოდისაგან სამადლობელი ადრესი იმის გამო, რომ სოფლის სამღვდელოებას ჯამაგირი დაენიშნა ხაზინიდგან,—თავისის ხელით დააწერა ადრესს: „გულითად მადლობას ვუცხადებ უწმ. სინოდსა კეთილ-გრძნობათა გამოხატვისათვის; დიდად მოხარული ვიქნები, როდესაც მთლად სოფლის სამღვდელოებას უზრუნველვყოფ“.

Новое Время-ს შეუტყვია, რომ უკვე დამტკიცებულა პროექტი სახლის მოქირავნეთაგან გარდასახადისა, რომლის მოკრება დაიწყება, როგორც ამბობენ, 1894 წლიდგან.

**პარიჟი.** მინისტრთა კრებამ გარდასწყვიტა ფერრის დასაფლავება სახელმწიფოდ იკისროსო და ამისათვის გადაიდოს 20,000 ფრანკიო.

პეტერბურგის ბირჟა, 5 მარტი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გარიგებისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,58 | | 7,60 | | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | | 152 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,07 | | 1,09 | | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 241 | |
| —მეორისა . . . . | $221^1/_2$ | | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — | ,, | — | ,, | 195 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| 6%. . . . . . . | — | ,, | 102 | | — | ,, |
| 5%. . . . . . . | 100 | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — | ,, | 102 | | — | ,, |
| 5%. . . . . . | 100 | | — | ,, | — | ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $99^1/_4$ | | — | ,, | — | ,, |

### ხელ-და-ხელ საჭირო ცნობა

დღეს, 9 მარტს, დილის ათ საათზედ, ტფილისის საინჟენრო დისტანციაში დანიშნულია აუქციონით გაყიდვა სხვა-და-სხვა ნივთებისა.


# განცხადებანი

## კანარეიკები,

თუთიყუშები სტამბოლიდგან და ოქროს ფერი თევზები ისყიდება 20 მარტამდე. სასტუმრო „ათინა“, პუშკინის ქუჩა. (2—1)




### თესლეულობით ვაჭრობა

გ. გ. ლარმესი

მიხეილის ორ-ხიდთა შუა, სახლი ფარსადანოვისა, მაღაზია № 47.

მ ი ჰ ი დ ე

## ახალი თესლეულობა

ბოსტნეულისა, ყვავილეულისა და ბალახეულისა.

კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება.

(15—10)

გამოვიდა და ისყიდება

## მოლა მასრადინას მოსწრებული სიტყვები

და

### ოსმალური ანდაზები

ოსმალურით გადმოთარგმნილი

**ალექსანდრე იაკ. მირაქ—ს მიერ**

ფასი 20 კაპ.

**ტფილისში:** „წერა-კითხვის გამ.“ საზ. მაღაზიაში, გრიქოროვის წიგნის მაღაზიაში, ლონდონის სასტუმროს ქვეშ, იზმიროვის ქაღალდის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ და ვაგზალზედ ბუტკაში;

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ, на Армянск. баз. д. Манташева. Александру Миракову. ვინც ხუთ ცალს იყიდის, მანეთზედ 20 კ. დაეთმობა.

# აგური

კაპიტანის მეუღლის ეკატერინე ისაკის ასულის კალატოზიშვილის ახლად გამართულ აგურის ქარხანაში იყიდება რუსული საუკეთესო აგური და ქართულიც **ბაცილებით იაფად, ვიდრე სხვა ქარხნებში.** აგურის მყიდველთ შეუძლიანთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ნორაშენის ქუჩა, სახლი ბადრიძესი № 3. ვთხოვთ მსურველთ, ორი კვირის წინად შემოგვიკვეთონ ხოლმე, რამდენის აგურის ყიდვაც უნდათ.

(6—5)

### საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

**„ურბენ“ (L'URBAINE)**

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—4)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

## ბოქლომ თუთაევისა

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—3) ალ. თუთაევი


Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Марта 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე.**